

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი ბიბილეიშვილი

მოლეკულურ-იონური სისტემების დეზარირების და დეფთორირების
ნანოქიმია, მემბრანული ნანოტექნოლოგიებისა და ნანოსისტემების
დამუშავება-შექმნითა და საწარმოო დანერგვით

სადოქტორო პროგრამა-ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია

შიფრი - 0410

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაცია

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2017 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტში; სტუ-ს მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელები: მეცნიერებათა ეროვნული

აკადემიის წევრ-

კორესპონდენტი

პროფესორი

დ. თავხელიძე

ნ. მუმლაძე

რეცენზენტები: -----

დაცვა შედგება ----- წლის ”-----” თებერვალს, ----- საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია ----- .

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს

ბიბლიოთეკაში, ხოლო ავტორეფერატის - ფაკულტეტის ვებ-გვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი პროფესორი

ზ.გელიაშვილი

სადისერტაციო თემის აქტუალობა

სადისერტაციო სამუშაოს აქტუალობას განსაზღვრავს ევროკავშირის 2003 წლის 16 მაისის (2003/40/ეკ) დირექტივა, რომლის თანახმად მინერალურ წყლებში ბუნებრივად წარმოდგენილი შედგენილობის ქიმიური კომპონენტების მაქსიმალური ზღვარის გადაჭარბების შემთხვევაში საფრთხე ექმნება საზოგადოებრივ ჯანმრთელობას.

ბუნებრივი, მათ შორის მინერალური წყლების გაწმენდა, სტერილიზაცია, ქიმიური კომპონენტების ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციებამდე დაყვანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო კვების პროდუქტების მომზადების თვალსაზრისით.

ქიმიური შედგენილობის მიხედვით განასხვავებენ სუფრისა და სამკურნალო ბუნებრივ მინერალურ წყლებს. მინერალური წყლების ის სახეები, რომლებშიც მინერალური მარილების შემცველობა აღემატება 500 მგ/ლ, რეკომენდირებულია სასმელად სამკურნალო მიზნებისთვის მხოლოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში. ასეთ მინერალურ წყლებს მიეკუთვნებიან: „ბორჯომი,, , „ნარზანი,, , „ესენტუკი-4 და 17,, და სხვა.

ბუნებრივი წყაროების სუფრის წყლები კი შეიცავენ მარილების შედარებით მცირე რაოდენობას და მათი მიღება შეიძლება განუსაზღვრელი რაოდენობით.

მიწისქვეშა წყლები და მათ შორის მინერალური წყლები, იფილტრება მიწის სხვადასხვა სახეობის ფენებში გავლის დროს, მაგრამ იწმინდება რა ამ დროს შეწონილი ნაწილაკებისგან, ისინი შეიძლება დაჭუჭყიანდეს მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების ხრწნის პროდუქტებით, აზოტოვანი შენაერთებით, სხვადასხვა ნივთიერებებით ქანების ფენების შემადგენლობის მიხედვით.

ამ მხრივ არც ბორჯომის მინერალური წყალია გამონაკლისი. წარმოადგენს რა მვირფას სასმელი დანიშნულების მინერალურ წყალს, რომელიც შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მიზნებისთვის, იგი შეიცავს ჭარბი რაოდენობით როგორც მაკრო-, ასევე ქიმიურ კომპონენტებს. ასე მაგალითად, ფთორის რაოდენობა სხვადასხვა ჭაბურღილების მიხედვით მერყეობს 4-10 მგ/ლ-მდე, ზოგიერთ შემთხვევაში კი მისი რაოდენობა 10 მგ/ლ-ზე მეტია. ფთორის ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია კი არ უნდა აღემატებოდეს 5,0 მგ/ლ-ს.

წარმოდგენილი მაჩვენებლების მიხედვით ფთორის რეალური კონცენტრაცია 2-ჯერ აღემატება დასაშვებს.

ასეთივე მდგომარეობა არის ბარიუმის შემთხვევაშიც. ბარიუმის რაოდენობა სხვადასხვა ჭაბურღილების მიხედვით მერყეობს 1.7-3.8 მგ/ლ-მდე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში 8,14 მგ/ლ-მდე (37 ბურღილი) აღწევს.

ასევე განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სიმღვრივის მაჩვენებელი სხვადასხვა ბურღილებში ფორმაზინის ერთეულის მიხედვით მერყეობს 1.37-დან 9.72-მდე. ულტრაფილტრაციული მეთოდით დამუშავების შედეგად სიმღვრივის მაჩვენებელი ფორმაზინის ერთეულით შეადგენს 0.09, ხოლო ნანოფილტრაციით - 0.06, რაც მეტყველებს ბორჯომის მინერალურ წყალში სხვადასხვა გრანულომეტრული ზომების შეწონილი ნაწილაკების დიდ რაოდენობაზე.

აქედან გამომდინარე, აუცილებელი ხდება ბორჯომის მინერალური წყლის შეწონილი ნაწილაკებისა და მიკროორგანიზმებისაგან გაწმენდა, ხოლო ამის შემდგომ ნაწილობრივი დეფტორირება-დებარირების განხორციელება, რათა მასში ფთორის და ბარიუმის შემცველობა მოექცეს ევროკავშირის მიერ დადგენილ დასაშვები ნორმის ფარგლებში.

სამუშაოს მიზანი

აქედან გამომდინარე, სადისერტაციო სამუშაოს მიზანს წარმოადგენს ბორჯომის მინერალური წყლის ნაწილობრივი დეფტორირება-დებარირების მემბრანული ნანოტექნოლოგიისა და აპარატურის დამუშავება. ამისთვის უნდა დადგინდეს ნაწილობრივი დეფტორირებისა და დებარირებისთვის საჭირო ბარომემბრანული პროცესები - ულტრაფილტრაცია, ნანოფილტრაცია, უკუოსმოსი. შეირჩეს დადგენილი მემბრანული პროცესების განხორციელებისთვის საჭირო პირობები, განისაზღვროს ამ მემბრანული პროცესების ოპტიმალური რეჟიმული პარამეტრები და შეიქმნას სათანადო მემბრანული მოდული, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ტექნოლოგიური პროცესის მაღალ დონეზე განხორციელებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩასატარებელ სამუშაოს მიზანს წარმოადგენს:

1. მემბრანული სისტემებისთვის ადეკვატური მათემატიკური მოდელების შემუშავება მათში მიმდინარე პროცესების კანონზომიერების კვლევისთვის;

2.სხვადასხვა ქიმიური შედგენილობის ხსნარებისთვის იონური სელექციის პროცესის თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევა;

3.ბორჯომის მინერალური წყლის სხვადასხვა ბურღილებისთვის ნაწილობრივი (სათანადო დონეზე) დებარირება-დეფტორირების იონური სელექციის მეთოდებისა და მემბრანული ტექნოლოგიების დამუშავება;

4.მემბრანულ სისტემებში ჰიდროდინამიკური პროცესების კვლევა;

5.მემბრანულ სისტემებში პროცესის განხორციელების ოპტიმალური პირობების განსაზღვრა;

6.შემუშავებული მემბრანული პროცესისთვის ჰიდროდინამიური სრულყოფილობის შეფასება და შემდგომი დახვეწის შესაძლებლობის ანალიზი;

სადისერტაციო ნაშრომში წყდება შემდეგი ამოცანები:

1.სხვადასხვა ხსნარების ქიმიური შედგენილობის იონური სელექციის მეთოდების შემუშავება;

2.ბორჯომის ბუნებრივი მინერალური წყლების სხვადასხვა ბურღილებისთვის ქიმიური შედგენილობის განსაზღვრა, ბარიუმისა და ფთორის ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციებთან მისადაგება სხვა ქიმიური კომპონენტების სათანადო რაოდენობების შენარჩუნებით.

3.ბორჯომის მინერალური წყლის დებარირება-დეფტორირების მემბრანულ აპარატში ნაკადის ჰიდროდინამიკის შესწავლა და მისი გავლენის დადგენა კონცენტრაციული პოლარიზაციის ხარისხზე;

4.აპარატის ერთეულ მოცულობაში მემბრანების ჩაწყობის სიმკვრივის (m^2/m^3) ზრდის შესაძლებლობების დადგენა;

5.ბუნებრივი მინერალური წყლებიდან ეკოლოგიურად სუფთა, მაღალხარისხიანი მინერალური წყლის მიღებისთვის გაყოფის პროცესის ოპტიმალური მუშა-წნევის, ნაკადის ტემპერატურისა და სიჩქარის დადგენა;

მეცნიერული სიახლე

1.სხვადასხვა ქიმიური შედგენილობის ხსნარებისთვის იონური სელექციის მეთოდების დამუშავება ბარომემბრანული პროცესების საფუძველზე;

2. ბორჯომის ბუნებრივი მინერალური წყლის სხვადასხვა ბურღილისთვის ერთდროული სტერილიზაციის, დებარირება-დეფტორირების ბარომემბრანული პროცესების თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა;

3. ბორჯომის მინერალური წყლის ერთდროული სტერილიზაციისა და დებარირება-დეფტორირებისათვის კონსტრუქციულად ახალი მემბრანული ბრტყლადპარალელური ტიპის აპარატის შექმნა;

4. ახალი აპარატის ბაზაზე მემბრანული ნანოტექნოლოგიისა და ნანოსისტემის დამუშავება და შექმნა.

5. აპარატის ძირითადი მუშა კვანძისთვის თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე ოპტიმალური ტექნოლოგიური პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, რეჟიმული პარამეტრების გამოთვლისთვის შესაბამისი საანგარიშო ალგორითმების შექმნა და დამუშავება.

6. ჰიდროდინამიკური პარამეტრების გავლენის დადგენა მუშა კვანძში კონცენტრაციული პოლარიზაციის მაჩვენებელზე და ამ დამოკიდებულების განმსაზღვრელი საანგარიშო ალგორითმის შექმნა და დამუშავება.

7. მოცემული მემბრანული დანადგარისთვის გეომეტრიული და რეჟიმული პარამეტრების ოპტიმიზაციის თეორიული გათვლა;

ნაშრომის აპრობაცია

ნაშრომის წარდგენა და მოსმენა სამი თემატური სემინარის სახით განხორციელდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტში.

ნაშრომის არსი განხილული და გამოქვეყნებულია პოლიმერული მასალების ბათუმის 2015 წლის მე-4 საერთაშორისო კონფერენციაზე.

1. G.Bibileishvili, G.Gogesashvili, "PREPARATION OF POLYMER MEMBRANES BY USING OF SOME AROMATIC POLYAMIDES, "4th International Caucasian Symposium on Polymers and Advanced Materials". Batumi, Georgia 1-4 July, 2015.

2. M.Kezherashvili, G.Bibileishvili," HIGH PERFORMANCE MATERIALS FOR MEMBRANE", "4th International Caucasian Symposium on Polymers and Advanced Materials". Batumi, Georgia 1-4 July, 2015.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა - სადისერტაციო ნაშრომი გაფორმების ინსტრუქციის მიხედვით მოიცავს 173 გვერდს, მათ შორის სატიტულო, ხელმოწერის, რეზიუმეს ორ ენაზე (ქართული და ინგლისური), შინაარს, ცხრილების ნუსხას -19, სურათების ნუსხას - 79, ნახაზების ნუსხა -18, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას - 123 ერთეული.

სამუშაოს ძირითადი შინაარსი

1. ლიტერატურის მიმოხილვა

წარმოდგენილ ნაშრომში სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით განხილულია შემდეგი საკითხები:

- 1.1 „ნანოქიმია“, „ნანოტექნოლოგიები“ და ნანოობიექტების კლასიფიკაცია;
- 1.2 მემბრანული გაყოფის პროცესები;
- 1.3 მინერალური და სასმელი წყლების მემბრანული მეთოდებით დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა;
- 1.4 ინოვაცია და მემბრანული სფერო;
- 1.5 ბორჯომის მინერალური წყლის დახასიათება და ქიმიური შედგენილობა;
- 1.6 მინერალური წყლების ნორმატიული საფუძვლები ევროკავშირის 2003 წლის 16 მაისის დირექტივის მიხედვით 2003/40/ეკ;
- 1.7 ფთორის დახასიათება და თვისებები;
- 1.8 წყლის დეფტორირების რეაგენტული მეთოდები;
- 1.9 ბარიუმის დახასიათება და თვისებები;
- 2.0 წყლის დეზარირების რეაგენტული მეთოდები;
- 2.1 ჩასატარებელი კვლევების მიმართულებები.

2. შედეგები და მათი განსჯა

2.1 თეორიული კვლევა

2.1.1 იონური და მოლეკულური სისტემების დამუშავების მემბრანული მეთოდები

იონური და მოლეკულური სისტემები (ჰემმარიტი ხსნარები) შედგებიან 1 ნმ. ანუ 0,001 მკმ.-ზე მცირე ზომის ნაწილაკებისგან. ჰემმარიტ ხსნარებში გახსნილი სახით

არიან ნივთიერების მოლეკულები და იონები. ისინი განიხილებიან როგორც ერთფაზიანი სისტემა.

იონური და მოლეკულური სისტემების წინასწარი (მოსამზადებელი) დამუშავება შესაძლებელია: მექანიკური ფილტრაციით, მიკროფილტრაციითა და ულტრაფილტრაციით, ხოლო ფილტრაცია, ფრაქციონირება და კონცენტრირება ნანოფილტრაციითა და უკუოსმოსით. ფინიშური-სტერილური ფილტრაციისათვის შესაძლებელია ჩიხური, ულტრა – და მიკროფილტრაციის გამოყენება.

2.1.2 ბარომემბრანულ პროცესებში კონცენტრაციული

პოლარიზაციის გავლენის შემცირების

თეორიული საფუძვლები (ლამინ., ტურბ.)

კონცენტრაციული პოლარიზაციის გავლენის შემცირების პრობლემების კვლევა მიმდინარეობს ოთხი მიმართულებით:

-გასაყოფი სისტემების ჰიდროდინამიკური, კონსტრუქციული და სქემატური თვალსაზრისით, მემბრანის ზედაპირზე ადსორბირებული ნაწილაკებით, დაჭუჭყიანების დაგროვების უნარის მიხედვით.

-მეთოდების მოძებნა, რომლებიც იძლევა მემბრანების შეღწევადობის ამაღლების საშუალებას გასაყოფი სისტემების წინასწარი ფილტრაციის კომბინაციის შერჩევის მეშვეობით.

-პროცესის ჩატარების ჰიდროდინამიური პირობების დადგენა (ნაკადის ლამინარული და განვითარებული ტურბულენტური მოძრაობის რეჟიმული პარამეტრების ოპტიმიზაცია), რომლებიც ხელს უწყობენ კონცენტრაციული პოლარიზაციის შემცირებას.

-მემბრანების რეცხვა-რეგენერაციის, სტერილიზაციისა და კონსერვაციის მეთოდების დამუშავება.

პოლიდისპერსულ სისტემებში, რომლებშიც დისპერსულ გარემოს წარმოადგენს წყალი, მემბრანის დაბინძურება იონური, მოლეკულური, შეწონილი და კოლოიდური ნაწილაკებით არის შემდეგი ფაქტორების გავლენის შედეგი:


- კომპონენტების კონცენტრირება, მათი იონური, მოლეკულური და გრანულომეტრიული შედგენილობა;
- ზედაპირული მუხტის არსებობა დისპერსული ფაზის ნაწილაკებში;
- დიფუზიის კოეფიციენტის სიდიდე სხვადასხვა სახისა და ზომის ნაწილაკების დისპერსულ გარემოში;
- გამყოფ სისტემაში მთავარი კომპონენტების თანაფარდობა;
- გასაყოფი ხსნარის PH სიდიდე;
- პროცესის ძირითადი ჰიდროდინამიური პარამეტრები–წნევა, ტემპერატურა, ნაკადის სიჩქარე;
- მემბრანის კუთრი შეღწევადობა.

კონცენტრაციული პოლარიზაციის მოვლენის შესწავლასთან დაკავშირებით შესაძლებელია განვიხილოთ მილში შემავალი სითხის ნაკადის მოძრაობის დინამიკა. მილის შესასვლელთან სითხის ნაკადის ჭავლები, მილის კედელთან უშუალო შეხებაში მყოფი თხელი აფსკის გარდა, მოძრაობენ ერთნაირი სიჩქარით. სითხის ნაკადის ჭავლების ნაწილაკები, რომლებიც უშუალო შეხებაშია მილის კედელთან აქვთ ნულთან მიახლოებული სიჩქარე, ამიტომ აფსკში წარმოიქმნება სიჩქარის დიდი გრადიენტი და მაშასადამე, ხახუნის ძალის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი.

აქედან გამომდინარე, მილის კედელთან სიახლოვეს მყოფი სითხის ნაკადის ფენები მუხრუჭდება, ხოლო ცენტრალურ ნაწილში იზრდება (სითხის საშუალო სიჩქარიდან გამომდინარე). ამასთან, დამუხრუჭებული სითხის ფენის სისქე იზრდება მანამ, სანამ მილის რადიუს არ გაუტოლდება, რის შემდეგაც ყალიბდება ლამინარული მოძრაობისთვის დამახასიათებელი მეორე რიგის პარაბოლის ტიპის სიჩქარის პროფილი.

სადაწნეო საკნის კედელთან სითხის დამუხრუჭების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია ნაკადის მაღალ- და დაბალსიჩქარიანი შრეების ერთმანეთთან შერევის უზრუნველყოფა, რითაც გავზრდით მემბრანის სასაზღვრო ზონაში სიჩქარის მაჩვენებელს. მიღებულ სიჩქარეთა გადანაწილებით ყალიბდება ტურბულენტური მოძრაობისთვის დამახასიათებელი მეოთხე რიგის პარაბოლის ტიპის პროფილი. ქვემოთ, ნახაზი 1-ზე და 2-ზე მოცემულია ლამინარული და

ტურბულენტური პროფილის მქონე მეორე და მეოთხე რიგის პარაბოლური ტიპის სიჩქარის პროფილები.



ნახაზი 1. ლამინარული რეჟიმი ნახაზი 2. ტურბულენტური რეჟიმი

ნახაზი 1-ზე მოცემული ლამინარული რეჟიმის საშუალო სიჩქარე V_1 საგრძნობლად მცირეა ნახაზი 2-ზე გამოსახული ტურბულენტური რეჟიმის საშუალო სიჩქარეზე.

პროცესის განსახორციელებლად გამყოფ სისტემაში ნაკადის პერიოდული მიწოდება აპარატის ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან, უზრუნველყოფს დასამუშავებელი სითხის ტურბულენტობას, ამის გარდა, ხელს უწყობს ხსნარში გახსნილ მაღალკონცენტრირებულ ნივთიერებებს მოდულის არხის სიგრძეზე გადაადგილებაში.

2.1.3 მემბრანული ნანოსისტემების დამუშავების

თეორიული საფუძვლები

ბორჯომის ბუნებრივი მინერალური წყლის დეზარირება-დეფტორირებისათვის მემბრანული ნანოსისტემის კონსტრუირებას, დამუშავებასა და შექმნას საფუძვლად უდევს სამეცნიერო-კვლევითი, ექსპერიმენტული, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა და ბარომემბრანული პროცესების ეფექტური მოდელირება.


აღნიშნული მოდელების მეშვეობით შესაძლებელია პროცესების ზღვრული ეფექტურობის გამოვლენა, მუშაობის მინიმალური დანახარჯებითა და მაქსიმალურად მაღალი სიმძლავრის გამოვლინებით.

გასაანალიზებელია, ბარომემბრანული პროცესების ოპტიმიზაციის მეთოდები, მემბრანული და მოლეკულურ-იონური სისტემების დამუშავების,

შექმნისა და ოპტიმალური მართვის ამოცანები, რომელთა გადაწყვეტას ეძღვნება სადისერტაციო ნაშრომი.

მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტში ავტორის უშუალო მონაწილეობით პოლიმერული კომპოზიციების ბაზაზე დამუშავებულია სხვადასხვა სახის მემბრანები.

ქვემოთ სურათზე 1 ნაჩვენებია მიკროფილტრაციული მემბრანა 0.3-0.4 მკმ. ფორის ზომით, რომლის გამოყენება დაგეგმილია ბორჯომის მინერალური წყლის დამუშავების ფინიშურ, მე-4 ეტაპზე.



სურათი 1. აცეტატცელულოზას 8% მემბრანა

ავტორის მიერ დამუშავებულია ფაზური ინვერსიით მემბრანული აპკების მიღების ხელსაწყო. ფუძე შრეზე დასასხმელ ხსნარად გამოყენებულ იყო დიაცეტატცელულოზას სხვადასხვა კონცენტრაციის მაფორმირებელი ხსნარები.

შექმნილი ხელსაწყოს გამოყენება შესაძლებელია ფაზური ინვერსიის პროცესში ფუძე შრის აბაზანაში ჩაშვების კუთხისა და სიჩქარის პარამეტრების დასადგენად.



სურათი 2. საკოაგულაციო აბაზანა



სურათი 3. მემბრ. მიღების პროცესი

ავტორის მიერ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტში დამუშავებულია და შექმნილია მემბრანის ფორმების ზომების განმსაზღვრელი ხელსაწყო, რომლის მუშაობის პრინციპი

ემყარება ბუშტულაკის წერტილის წარმოქმნის განსაზღვრის მეთოდს. ხელსაწყო დამზადებულია 3დ პრინტერის მეშვეობით.



სურათი 4. მემბრანის ფორების მზომი ხელსაწყო

2.1.4 ბარომემბრანული პროცესების ოპტიმიზაციის

მათემატიკური აღწერა

პროცესის მიმდინარეობის რეჟიმის მიხედვით (სტაციონალური ან არასტაციონალური) მათემატიკური მოდელები იყოფა: სტაციონალურ ანუ სტატიკურად და არასტაციონალურ ანუ დინამიკურად.

ამიტომ მათემატიკური მოდელირება გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:

- 1.მათემატიკური მოდელის აგება;
- 2.ალგორითმის შექმნა, რომელიც ახდენს შესასწავლი პროცესის მოდელირებას;
- 3.მოდელის და შესასწავლი ობიექტის ადეკვატურობის დამყარება.


მათემატიკური მოდელი გულისხმობს იმ სახის თანაფარდობის სისტემის აგებას, რომელიც აღწერს პროცესის ელემენტურულ მოვლენებსა და მათ შორის ურთიერთობას, ძირითადი ამღზნები ფაქტორების გათვალისწინებით.

2.1.4.1 ჰიდროდინამიკური პროცესის კვლევა სითხის


ნაკადის ლამინარული და

ტურბულენტური რეჟიმებისთვის

ნახაზი 3–ზე მოცემულია ნაკადის მოძრაობის ლამინარული (ა) და ტურბულენტური (ბ) რეჟიმების პრინციპული სქემა. მუშა კვანძის (სადაწნეო საკანი $A, B, C, D, A_1, B_1, C_1, D_1$) კვეთი (A, B, C, D) , სიბრტყეზე დეკარტის კოორდინატულ სისტემაში (OY, OZ) .



ნახაზი 3.-(ა)



ნახაზი 3.-(ბ)

2.1.4.2 ერთგანზომილებიან სისტემაში (Z) სითხის ნაკადის

სიჩქარე და წნევა ლამინარული და ტურბულენტური რეჟიმებისათვის

ნახაზი 3-(ა) და (ბ)-ზე მოცემულ (A,B,C,D) საკანში განიხილება სითხის მოძრაობის ჰიდროდინამიკური პროცესი გასაყოფი ხსნარის 20°C -მდე ტემპერატურისა და $0,1 \times 10^5 - 1,5 \times 10^5$ პა.- მდე წნევის პირობებში.

საკანში სითხე იწყებს მოძრაობას საწყისი საშუალო სიჩქარით v_0 და ხარჯით Q_0 , ხოლო საკნიდან გამოედინება v_1 სიჩქარითა და Q_1 ხაჯით. საშუალო წნევის p და ფილტრატის წნევის p_F სხვაობით განპირობებულია სითხის ნაწილის გადინება ნახევრადგამტარ მემბრანაში, რის შედეგადაც მიიღება ფილტრატი Q_F . $v_z(Y,Z)$ და $v_y(Y,Z)$ სიჩქარეები წარმოადგენენ სითხის მოძრაობის სიჩქარის პროექციას (OZ) და (OY) ღერძებზე. სადაწნეო საკნის გეომეტრიული ზომებია: სიმაღლე $h = 0.35 \times 10^{-3}$ მ., სიგრძე- $Z_L = 540 \times 10^{-3}$ მ., სიგანე- $Y_L = 50 \times 10^{-3}$ მ.

ბარომემბრანული პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით მიზანშეწონილია სადაწნო საკანში ლამინარული პროცესის სანაცვლოდ დამყარებული ტურბულენტური რეჟიმის განხორციელება ერთიდაიმავე ენერგოდანახარჯების პირობებში.

ლამინარული და ტურბულენტური რეჟიმების პირობებში dz ფენისათვის მატერიალური ბალანსის განტოლებას აქვს სახე:

$$Q_0 = Q_1 + Q_F \quad (1),$$

სადაც,

$$Q_0 = Y_L \times h \times \langle v_z \rangle \quad (2),$$

$$Q_1 = Y_L \times h \times \left(\langle v_z \rangle + \frac{\partial \langle v_z \rangle}{\partial z} dz \right) \quad (3),$$

$$Q_F = Y_L \times \frac{K}{\mu} \times (\langle p \rangle - p_F) dz \quad (4),$$

სადაც, $d \langle v_z \rangle = \frac{\partial \langle v_z \rangle}{\partial z} dz \quad (5),$

ლამინარული და ტურბულენტური რეჟიმების პირობებში dz ფენისათვის მატერიალური ბალანსის განტოლებიდან ვიღებთ:

$$\frac{\partial \langle v_z \rangle}{\partial z} = - \frac{K}{\mu h} \cdot (\langle p \rangle - p_F), \quad (6)$$

J_v არის მემბრანის ხვედრითი წარმადობა, რომელიც დარსის ფორმულის მიხედვით, განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$J_v = - \frac{K}{\mu} \cdot (\langle p \rangle - p_F), \quad (7)$$

სადაც, v_z იცვლება z ღერძის მიმართულებით ღერძის, ამიტომ კერძო წარმოებული მიიღებს სახეს:

$$\frac{\partial \langle v_z \rangle}{\partial z} = \frac{d \langle v_z \rangle}{dz}, \quad (8)$$

მისი გათვალისწინებით ფორმულა (8) ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\frac{d \langle v_z \rangle}{dz} = - \frac{K}{\mu h} \cdot (\langle p \rangle - p_F), \quad (9)$$

განუზომელ სიდიდეებში განტოლება (9)-ის გადასაყვანად შემოვიღოთ ტოლობები:

$$\langle V_Z \rangle = \frac{\langle v_z \rangle}{\langle v_0 \rangle}, \quad (10)$$

$$\langle P \rangle = \frac{\langle p \rangle - p_F}{p_F}, \quad (11)$$

$$dZ = \frac{dz}{h}, \quad (12)$$

მე-(4) (9) განტოლებაში ჩავატაროთ გარდაქმნები, მაშინ მივიღებთ:

$$\frac{d\langle v_z \rangle \cdot \langle v_0 \rangle + \langle v_0 \rangle}{dz \cdot h + h} = - \frac{K}{\mu \cdot h} \cdot (\langle p \rangle - p_F) \cdot p_F \div p_F, \quad (13)$$

მე-(13) განტოლებაში შევიტანოთ

(10), (11) და (12) მაშინ განუზომელ სიდიდეებში მივიღებთ:

$$\frac{d\langle V_Z \rangle}{dZ} = - \frac{K \cdot p_F}{\mu \cdot \langle v_0 \rangle} \cdot \langle P \rangle, \quad (14)$$

მეორე მხრივ dz ფენისთვის პუაზუელის განტოლებას აქვს სახე:

$$\frac{d\langle p \rangle}{dz} = \frac{-12 \cdot \mu}{h^2} \cdot \langle v_z \rangle, \quad (15)$$

ჩავწეროთ (15) განუზომელი სიდიდეებში,

$$\frac{d\langle P \rangle}{dZ} = \frac{-12 \cdot \mu \cdot \langle v_0 \rangle}{h \cdot p_F} \cdot \langle V_Z \rangle, \quad (16)$$

გავაწარმოთ განტოლება (14) Z -ით და მივიღებთ:

$$\frac{d^2 \langle V_Z \rangle}{dZ^2} = \frac{-K \cdot p_F}{\mu \cdot v_0} \cdot \frac{d\langle P \rangle}{dZ}, \quad (17)$$

ჩავსვათ $\frac{d\langle P \rangle}{dZ}$ -ის გამოსახულება მე-(16) -დან მე-(17) -ში, მივიღებთ:

$$\frac{d^2 \langle V_Z \rangle}{dZ^2} = \frac{-12 \cdot K}{h} \cdot \langle V_Z \rangle, \quad (18)$$

შემოვიღოთ აღნიშვნა,

$$\zeta = \sqrt{\frac{12K}{h}}, \quad (19)$$

მე-(14) და მე-(16) განტოლებების შეჯერებითა და მე-(19) შემოტანით, ვიღებთ $\langle V_Z \rangle$ -თვის მეორე ხარისხის დიფერენციალურ განტოლებას:

$$\frac{d^2 \langle V_Z \rangle}{dZ^2} - \zeta^2 \langle V_Z \rangle = 0 \quad (20)$$

მე-(20) V_Z -ის მიმართ არის მეორე რიგის დიფერენციალური განტოლება, ერთგვაროვანი და არასრული, მუდმივი კოეფიციენტი. მის ამოხსნას ვეძებთ შემდეგი სახით:

$$\langle V_Z \rangle = e^{sZ}, \quad (21)$$

მაშინ (20) დიფერენციალური განტოლების მახასიათებელი განტოლება იქნება:

$$S^2 - \zeta^2 = 0, \quad (22)$$

აქედან შეიძლება დაიწეროს:

$$S_{1,2} = \mp \zeta, \quad (23)$$

ხოლო, მე-(23) განტოლების ზოგად ამოხსნას ექნება სახე:

$$\langle V_Z \rangle = a \cdot e^{s_1 z} + b \cdot e^{s_2 z}, \quad (24)$$

S -ის მნიშვნელობის შეტანით (24)-დან, მივიღებთ:

$$\langle V_Z \rangle = a \cdot e^{\zeta z} + b \cdot e^{-\zeta z}, \quad (25)$$

გარდავექმნათ გამოსახულება:

$$\begin{aligned} a \cdot e^{\zeta z} + b \cdot e^{-\zeta z} &= a e^{\zeta z} + b e^{-\zeta z} + \frac{b}{2} e^{\zeta z} - \frac{b}{2} e^{\zeta z} + \frac{a}{2} e^{-\zeta z} - \frac{a}{2} e^{-\zeta z} = \\ &= \frac{a+b}{2} e^{\zeta z} + \frac{a}{2} e^{\zeta z} + \frac{a+b}{2} e^{-\zeta z} + \frac{b}{2} e^{-\zeta z} - \frac{b}{2} e^{\zeta z} - \frac{a}{2} e^{-\zeta z} = \\ &= \frac{a+b}{2} (e^{\zeta z} + e^{-\zeta z}) + \frac{a}{2} (e^{\zeta z} - e^{-\zeta z}) - \frac{b}{2} (e^{\zeta z} - e^{-\zeta z}) = \\ &= \frac{a+b}{2} (e^{\zeta z} + e^{-\zeta z}) + \frac{a-b}{2} (e^{\zeta z} - e^{-\zeta z}), \quad (26) \end{aligned}$$

(26) განტოლების ამოხსნის შედეგად შესაძლებელია კოსინუსჰიპერბოლური და სინუსჰიპერბოლურის ცნობილი ტოლობების შემოტანა:

$$\frac{e^{\zeta z} + e^{-\zeta z}}{2} = \cosh(\zeta z), \quad (27)$$

$$\frac{e^{\zeta z} - e^{-\zeta z}}{2} = \sinh(\zeta z), \quad (28)$$

შევიტანოთ (27) და (28) განტოლებები (26)-ში, მაშინ მივიღებთ:

$$a e^{\zeta z} + b e^{-\zeta z} = (a + b) \cosh(\zeta z) + (a - b) \sinh(\zeta z), \quad (29)$$

შემოვიტანოთ აღნიშვნები:

$$a + b = c_1, \quad (30)$$

$$a - b = c_2, \quad (31)$$

$$\langle V_Z \rangle = C_1 \cosh(\zeta z) + C_2 \sinh(\zeta z), \quad (32)$$

C_1 და C_2 -ის საპოვნელად გამოვიყენოთ სასაზღვრო პირობები:

$$1) Z = 0, \quad \langle V_Z \rangle = 1$$

$$2) Z = 0,54, \quad \langle V_Z \rangle = V_1 \quad (33)$$

ჩავსვათ (23)-ში პირველი სასაზღვრო პირობა (22) განტოლებაში, მივიღებთ:

$$C_1=1 \quad (34)$$

ჩავსვათ (23)-ში მეორე სასაზღვრო პირობა (22) განტოლებაში, მივიღებთ:

$$C_1 \cosh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right) + C_2 \sinh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right) = V_1, \quad (35)$$

(2.35)-ში შევიტანოთ C_1 -ის მნიშვნელობა (2.24)-დან, მაშინ მივიღებთ:

$$\cosh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right) + C_2 \sinh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right) = V_1, \quad (36)$$

აქედან ამოვხსნათ C_2 , მივიღებთ:

$$C_2 = \frac{V_1 - \cosh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)}{\sinh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)}, \quad (37)$$

საბოლოოდ (32)-ში ჩავსვათ C_1 -ისა და C_2 -ის მნიშვნელობები, მივიღებთ საშუალო სიჩქარის ვერტიკალურ მდგენელის V_Z -სათვის შემდეგ გამოსახულებას:

$$\langle V_Z \rangle = \cosh(\zeta Z) + \frac{V_1 - \cosh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)}{\sinh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)} \cdot \sinh(\zeta Z), \quad (38)$$

(14) განტოლებიდან განვსაზღვროთ:

$$\langle P \rangle = \frac{-\mu \cdot v_0}{K \cdot p_F} \cdot \frac{dV_Z}{dZ}, \quad (39)$$

შევიტანოთ (39)-ში V_Z -ის მნიშვნელობა (38)-დან და გავაწარმოოთ Z -ით, მივიღებთ:

$$\langle P \rangle = \frac{-\mu \cdot \langle v_0 \rangle}{K \cdot p_F} \cdot \zeta \left\{ \sinh(\zeta Z) + \frac{V_1 - \cosh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)}{\sinh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)} \cdot \cosh(\zeta Z) \right\}, \quad (40)$$

შემოვიღოთ აღნიშვნა:

$$\langle F \rangle = \frac{p_F \cdot h}{12\mu \cdot \langle v_0 \rangle} \cdot \langle P \rangle, \quad (41)$$

მაშინ მივიღებთ:

$$\langle F \rangle = \frac{1}{\zeta} \cdot \left(\frac{\cosh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right) - V_1}{\sinh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)} \cdot \cosh(\zeta Z) - \sinh(\zeta Z) \right), \quad (42)$$

მემბრანული მოდულის სადაწნეო საკანში გრძივი სიჩქარისა და წნევის გამოსაანგარიშებლად (38) და (40) ტოლობების საბოლოო სახე უგანზომილებო სიდიდეებში, არის შემდეგი:

$$\langle V_Z \rangle = \cosh(\zeta Z) + \frac{\langle v_1 \rangle - \cosh\left(\frac{\zeta 0.54}{h}\right)}{\sinh\left(\frac{\zeta 0.54}{h}\right)} \cdot \sinh(\zeta Z), \quad (43)$$

$$\langle P_Z \rangle = \frac{-\mu \langle v_0 \rangle}{K \cdot p_F} \cdot \zeta \left(\sinh(\zeta Z) + \frac{\langle v_1 \rangle - \cosh\left(\frac{\zeta 0.54}{h}\right)}{\sinh\left(\frac{\zeta 0.54}{h}\right)} \cosh(\zeta Z) \right), \quad (44)$$

ხოლო განზომილებიან სიდიდეებში v_z და p_z ექნება სახე:

$$v_z = \langle V_Z \rangle \cdot v_0, \quad (45)$$

$$p_z = \langle P_Z \rangle \cdot p_F, \quad (46)$$

2.1.4.3 ორგანზომილებიან სისტემაში (Z, Y) ფილტრაციის სიჩქარისა და წარმადობის განსაზღვრა ლამინარული და ტურბულენტური რეჟიმებისათვის

სადაწნეო საკანში ფილტრაციის სიჩქარისა და რაოდენობის განსაზღვრისათვის განვიხილოთ სითხის ნაკადის სიჩქარის განივი და გრძივი გეგმილები მოძრაობის ნავიე-სტოქსისა და მასის უწყვეტობის განტოლებების სახით.

ვაკუუმში სითხის (ნიუტონის სითხე) სტაციონალური მოძრაობის დროს ნავიე-სტოქსის განტოლებას აქვს სახე:

$$(\langle V \rangle \nabla) \langle V \rangle = \frac{-\nabla P}{\rho} + \nu \Delta \langle V \rangle, \quad (47)$$

ხოლო მასის უწყვეტობის განტოლებას აქვს სახე:

$$\nabla \langle V \rangle = 0, \quad (48)$$

სიბრტყეში მოძრაობის შემთხვევისთვის გვაქვს სიჩქარის ორი გეგმილი $\langle V \rangle (v_z(y, z), v_y(y, z))$ და განტოლება (2.47) ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$v_z \frac{\partial v_z}{\partial z} + v_y \frac{\partial v_z}{\partial y} = -\frac{1}{\rho} \frac{\partial p}{\partial z} + \nu \left(\frac{\partial^2 v_z}{\partial z^2} + \frac{\partial^2 v_z}{\partial y^2} \right), \quad (49)$$

$$v_z \frac{\partial v_y}{\partial z} + v_y \frac{\partial v_y}{\partial y} = -\frac{1}{\rho} \frac{\partial p}{\partial y} + \nu \left(\frac{\partial^2 v_y}{\partial z^2} + \frac{\partial^2 v_y}{\partial y^2} \right), \quad (50)$$

ხოლო მასის უწყვეტობის განტოლება კი ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\frac{\partial v_z}{\partial z} + \frac{\partial v_y}{\partial y} = 0 \quad (51)$$

(49) და (55) განტოლებათა სისტემაში ტოლობის ორივე მხარე გადავამრავლოთ ρ -ზე და მივიღებთ:

$$\rho \cdot \left(v_z \frac{\partial v_z}{\partial z} + v_y \frac{\partial v_z}{\partial y} \right) = -\frac{\partial p}{\partial z} + \mu \left(\frac{\partial^2 v_z}{\partial z^2} + \frac{\partial^2 v_y}{\partial y^2} \right), \quad (52)$$

$$\rho \cdot \left(v_z \frac{\partial v_y}{\partial z} + v_y \frac{\partial v_y}{\partial y} \right) = -\frac{\partial p}{\partial y} + \mu \left(\frac{\partial^2 v_y}{\partial z^2} + \frac{\partial^2 v_z}{\partial y^2} \right), \quad (53)$$

სიჩქარის კომპონენტი Z-ის მიმართ წარმოადგენს მეორე რიგის წარმოებულს და ჩაითვლება ხულის ტოლად

$$\frac{\partial^2 v_z}{\partial z^2} = 0, \quad \frac{\partial^2 v_y}{\partial z^2} = 0, \quad \text{მაშინ მივიღებთ:}$$

$$\rho \cdot \left(v_z \frac{\partial v_z}{\partial z} + v_y \frac{\partial v_z}{\partial y} \right) = -\frac{\partial p}{\partial z} + \mu \left(\frac{\partial^2 v_z}{\partial y^2} \right), \quad (54)$$

$$\rho \cdot \left(v_z \frac{\partial v_y}{\partial z} + v_y \frac{\partial v_y}{\partial y} \right) = -\frac{\partial p}{\partial y} + \mu \left(\frac{\partial^2 v_y}{\partial y^2} \right), \quad (55)$$

ვინაიდან თავიდანვე იყო დაშვებული, რომ გრძივი სიჩქარის პროფილი ლამინარული რეჟიმისთვის მეორე, ხოლო ტურბულენტურისთვის მეოთხე რიგის პარაბოლური სახისაა. მაშინ ლამინარული რეჟიმისთვის ვიღებთ:

$$v_z(z, y) = 6 \langle v_z \rangle \cdot \left(\frac{y}{h} - \frac{y^2}{h^2} \right), \quad (56-ა)$$

ხოლო ტურბულენტურისთვის:

$$v_z(z, y) = 6 \langle v_z \rangle \cdot \left(\frac{y}{h} - \frac{y^4}{h^4} \right) \quad (56-ბ)$$

განტოლებათა სისტემა (51), (54) და (55) ჩავწეროთ უგანზომილებო სიდიდეებში, თუ გავითვალისწინებთ, რომ:

$$\langle P \rangle = -\frac{12\mu}{h} \cdot \frac{v_0}{p_F} \cdot \langle F \rangle, \quad (57)$$

და

$$Re = \frac{2\rho v_0 h}{\mu}, \quad (58)$$

მაშინ მივიღებთ:

$$12 \frac{\partial F}{\partial Z} + \frac{\partial^2 V_Z}{\partial Y^2} = \frac{Re}{2} \left(V_Z \frac{\partial V_Z}{\partial Z} + V_Y \frac{\partial V_Z}{\partial Y} \right), \quad (59)$$

$$12 \frac{\partial F}{\partial Y} + \frac{\partial^2 V_Y}{\partial Y^2} = \frac{R_e}{2} \left(V_Z \frac{\partial V_Y}{\partial Z} + V_Y \frac{\partial V_Y}{\partial Y} \right), \quad (60)$$

$$\frac{\partial V_Z}{\partial Z} + \frac{\partial V_Y}{\partial Y} = 0 \quad (61)$$

(56-ა) ლამინარული რეჟიმისთვის (გრძივი სიჩქარე) განტოლება უგანზომილებო სიდიდეებში მიიღებს სახეს:

$$V_Z(Z, Y) = 6 \langle V_Z \rangle (Y - Y^2), \quad (62-ა)$$

ხოლო, (56-ბ) ტურბულენტური რეჟიმისთვის (გრძივი სიჩქარე) განტოლება უგანზომილებო სიდიდეებში მიიღებს სახეს:

$$V_Z(Z, Y) = 6 \langle V_Z \rangle (Y - Y^4), \quad (62-ბ)$$

სათანადო სასაზღვრო პირობებს უგანზომილებო სიდიდეებში ექნებათ სახე:

$$1) Y = 0, V_Y(Z, 0) = 0; \quad (63)$$

$$2) Y = 0, Y = 1, V_Z(Z, 0) = V_Z(Z, 1) = 0; \quad (64)$$

$$3) Y = 1, V_Y(Z, 1) = \zeta^2 F(Z, 1) \quad (65)$$

ლამინარული რეჟიმისთვის განივი და გრძივი სიჩქარეების კომპონენტებს უგანზომილებო სიდიდეებში ექნება სახე:

$$V_Y(Z, Y) = \zeta \cdot G(Z) \cdot (3Y^2 - 2Y^3), \quad (66-ა)$$

$$V_Z(Z, Y) = 6 \cdot \langle V(Z) \rangle \cdot (Y - Y^2), \quad (67-ა)$$

ტურბულენტური რეჟიმისთვის განივი და გრძივი სიჩქარეების კომპონენტებს უგანზომილებო სიდიდეებში ექნება სახე:

$$V_Y(Z, Y) = \zeta \cdot G(Z) \cdot (3Y^2 - \frac{6}{5}Y^5), \quad (66-ბ)$$

$$V_Z(Z, Y) = 6 \cdot \langle V(Z) \rangle \cdot (Y - Y^4), \quad (67-ბ)$$

სადაც,

$$G(Z) = -(B \cdot \cosh(\zeta Z) + \sinh(\zeta Z)), \quad (68)$$

და

$$\langle V(Z) \rangle = \cosh(\zeta Z) + B \cdot \sinh(\zeta Z), \quad (69)$$

ხოლო,

$$B = \frac{V_1 - \cosh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)}{\sinh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)}, \quad (70)$$

ასევე, ტოლობების (68),(69) და (70) გათვალისწინებით (66-ა), (66-ბ), (67-ა) და (67-ბ) ტოლობები გადაიწერება შემდეგნაირად:

$$V_Y(Z, Y) = -\zeta \cdot \left(\frac{V_1 - \cosh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)}{\sinh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)} \cdot \cosh(\zeta Z) + \sinh(\zeta Z) \right) \cdot (3Y^2 - 2Y^3) \quad (71-ა)$$

$$V_Y(Z, Y) = -\zeta \times \left(\frac{V_1 - \cosh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)}{\sinh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)} \cdot \cosh(\zeta Z) + \sinh(\zeta Z) \right) \times \left(3Y^2 - \frac{6}{5}Y^5 \right), \quad (71-ბ)$$

$$V_Z(Z, Y) = 6 \times \left(\cosh(\zeta Z) + \frac{V_1 - \cosh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)}{\sinh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)} \cdot \sinh(\zeta Z) \right) \times (Y - Y^2), \quad (72-ა)$$

$$V_Z(Z, Y) = 6 \times \left(\cosh(\zeta Z) + \frac{V_1 - \cosh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)}{\sinh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)} \cdot \sinh(\zeta Z) \right) \cdot (Y - Y^4), \quad (72-ბ)$$

განზომილებიან სიდიდეში გადასაყვანად (72-ა) და (72-ბ) გავამრავლოთ v_0 -ზე, მაშინ მივიღებთ:

$$v_z(l, y) = V_z(L, Y) \cdot v_0 \quad (73)$$

სადაწნეო საკნებში $\langle P \rangle$ წნევის განსაზღვრისთვის $F(Z, Y)$ მიიღებს სახეს:

$$F(Z, Y) = \frac{G(Z)}{\zeta} + \frac{\zeta G(Z)}{2} \cdot (Y - Y^2), \quad (74-ა)$$

$$F(Z, Y) = \frac{G(Z)}{\zeta} + \frac{\zeta G(Z)}{2} \cdot (Y - Y^4), \quad (74-ბ)$$

სიჩქარის განივი კომპონენტი $V_Y(Z, Y)$ უშუალოდ უკავშირდება ფილტრაციის მნიშვნელობის განსაზღვრას $Y = 1$ -ის ტოლობის დროს, რაც ნიშნავს მემბრანის ზედაპირზე ფილტრაციის სიჩქარეს განზომილ სიდიდეებში ლამინარული რეჟიმის დროს:

$$V_Y(Z, 1) = -\zeta \cdot \left(\frac{V_1 - \cosh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)}{\sinh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)} \cdot \cosh(\zeta Z) + \sinh(\zeta Z) \right), \quad (75-ა)$$

ხოლო ტურბულენტური რეჟიმის დროს

$$V_Y(Z, 1) = -1.8 \zeta \cdot \left(\frac{V_1 - \cosh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)}{\sinh\left(\zeta \frac{0.54}{h}\right)} \cdot \cosh(\zeta Z) + \sinh(\zeta Z) \right), \quad (75-ბ)$$

განზომილებიან სიდიდეში გადასაყვანად (75-ა) და (75-ბ) გავამრავლოთ v_0 -ზე, მაშინ მივიღებთ:

$$v_y(z, h) = V_Y(Z, 1) \cdot v_0, \quad (76)$$

(75) არის ფილტრაციის სიჩქარე Z -ის მოცემული მნიშვნელობისთვის. ჩვენს შემთხვევაში Z -ის მნიშვნელობა იცვლება 0-დან 540-მდე. მოცემულ წერტილში სიჩქარის საშუალო მნიშვნელობის ნამრავლი საფილტრავ ფართზე განსაზღვრავს ფილტრატის რაოდენობას (მოცემული კოორდინატისთვის, ტემპერატურისთვის და წნევისთვის).

2.1.4.4 კონცენტრაციული პოლარიზაციის განსაზღვრა ნაკადის მოძრაობის ლამინარული და ტურბულენტური რეჟიმებისთვის

მემბრანის ზედაპირთან გამხსნელში შემავალი კომპონენტების კონცენტრაციის დამოკიდებულებით, გასაყოფ ხსნარში შემავალ კომპონენტების კონცენტრაციასთან ვლუბულობთ კონცენტრაციულ პოლარიზაციას.

გამხსნელში შემავალი კომპონენტების გადატანა მემბრანის სასაზღვრო ზოლში დამოკიდებულია მოლეკულურ დიფუზიასა და კონვექციაზე. თუ დავუშვებთ, რომ სითხის ნაკადის ბირთვის კონცენტრაცია (საწყისი კონცენტრაცია) სადაწნეო საკნის მთელ სიგრძეზე უცვლელია, მაშინ მივიღებთ:

$$D \cdot \frac{dc}{dy} + C G_1 = (1 - \varphi_R) C_3 G_1, \quad (77)$$

სასაზღვრო პირობების შემოტანით:

$$1) \quad y = 0, \quad C = C_3$$

$$2) \quad y = \delta_s, \quad C = C_1$$

δ_s - მემბრანის სასაზღვრო ფენის სისქე;

(4.77) ტოლობის ინტეგრირებით ვიღებთ:

$$\frac{C_3}{C_1} = CP = \frac{\exp\left(G_1 \frac{\delta_s}{D}\right)}{\varphi_R + (1 - \varphi_R) \cdot \exp\left(G_1 \frac{\delta_s}{D}\right)}, \quad (78)$$

დამოკიდებულება D/δ_s წარმოადგენს მასაგადაცემის კოეფიციენტს β -ს გახსნილი ნივთიერებისა მემბრანის ზედაპირიდან სითხის ნაკადის ბირთვში.

შევიტანოთ (77) ტოლობაში, მაშინ მივიღებთ:

$$CP = \frac{\exp\left(\frac{G_1}{\beta}\right)}{\varphi_R + (1 - \varphi_R) \cdot \exp\left(\frac{G_1}{\beta}\right)}, \quad (79)$$

ამ დროს შესაძლებელია ხსნარში გახსნილი კომპონენტის სრულად მოხსნა, ამიტომ $\varphi_R = 1$. ამის გათვალისწინებით (79) მიიღებს სახეს:

$$CP = \exp\left(\frac{G_1}{\beta}\right), \quad (80)$$

მასაგადაცემის კოეფიციენტის გამოთვლა შესაძლებელია კრიტერიალური ტოლობით, რომლის დროსაც ჩაიწერება შერვუდის კრიტერიუმის განმსაზღვრელი ტოლობა, შმიდტის კრიტერიუმის მაღალი მაჩვენებლის დროს როდესაც,

$$Sc = \frac{\nu}{D} = \frac{0,010105 \cdot 10^{-4}}{3,84 \cdot 10^{-11}} = 26315,1 \quad (81)$$

და

$$Sc > 10000, \quad (82)$$

ლამინარული მოძრაობისთვის შერვუდის კრიტერიალურ ტოლობას აქვს შემდეგი სახე:

$$Sh = 0,102 Re^{0,9} \cdot Sc^{0,33}, \quad (83)$$

ხოლო ტურბულენტური მოძრაობისთვის შერვუდის კრიტერიალურ ტოლობას აქვს შემდეგი სახე:

$$Sh = 0,102 Re^{0,97} \cdot Sc^{0,33}, \quad (84)$$

მიღებული [45, 46, 75, 79, 83, 84] ტოლობები საშუალებას გვაძლევს თეორიულად გამოვთვალოთ სითხის ნაკადის გრძივი და განივი სიჩქარეების, წნევისა და კონცენტრაციული პოლარიზაციის სიდიდეები.


ბარომემბრანული გაყოფის პროცესის მათემატიკური აღწერა საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ლამინარული და ტურბულენტური რეჟიმის პირობებში ნაკადის სიჩქარისა და კონცენტრაციული პოლარიზაციის მნიშვნელობები და მოვახდინოთ მათი ოპტიმიზაცია.

ცხრილი 1. ერთგანზომილებიან სისტემაში 20 °C სიჩქარის (Vz20) გრძივი მაჩვენებლების საანგარიშო ალგორითმი

N	dp	t, °C	$\zeta \times 10^{-3}$	J	V ₀	V ₁	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	0.1	20	0.569868	171	0.5432	0.5261	540x10 ⁻³	1542.857	0.879225	1.412068	0.996964	1.4120683	0.9969638	-0.444899	-0.44355	0.96852	0.52610
2	0.1	-	0.569868	171	0.5432	0.5261	270x10 ⁻³	771.428	0.439612	1.098196	0.45391	1.4120683	0.9969638	-0.444899	-0.20194	0.89625	0.48684
3	0.1	-	0.569868	171	0.5432	0.5261	0	0	0	1	0	1.4120683	0.9969638	-0.444899	0.00000	1.00000	0.54320
4	0.2	-	0.192215	214	0.5423	0.5222	540x10 ⁻³	1542.857	0.29656	1.044297	0.300926	1.0442971	0.3009261	-0.27037	-0.08136	0.96294	0.52220
5	0.2	-	0.192215	214	0.5423	0.5222	270x10 ⁻³	771.428	0.14828	1.011014	0.148824	1.0442971	0.3009261	-0.27037	-0.04024	0.97078	0.52645
6	0.2	-	0.192215	214	0.5423	0.5222	0	0	0	1	0	1.0442971	0.3009261	-0.27037	0.00000	1.00000	0.54230
7	0.3	-	0.152155	256	0.5402	0.5164	540x10 ⁻³	1542.857	0.234754	1.027681	0.236916	1.0276814	0.2369158	-0.302805	-0.07174	0.95594	0.51640
8	0.3	-	0.152155	256	0.5402	0.5164	270x10 ⁻³	771.428	0.117377	1.006897	0.117646	1.0276814	0.2369158	-0.302805	-0.03562	0.97127	0.52468
9	0.3	-	0.152155	256	0.5402	0.5164	0	0	0	1	0	1.0276814	0.2369158	-0.302805	0.00000	1.00000	0.54020
10	0.4	-	0.135342	299	0.5345	0.5067	540x10 ⁻³	1542.857	0.208813	1.021881	0.210333	1.0218807	0.2103334	-0.351309	-0.07389	0.94799	0.50670
11	0.4	-	0.135342	299	0.5345	0.5067	270x10 ⁻³	771.428	0.104406	1.005455	0.104596	1.0218807	0.2103334	-0.351309	-0.03675	0.96871	0.51778
12	0.4	-	0.135342	299	0.5345	0.5067	0	0	0	1	0	1.0218807	0.2103334	-0.351309	0.00000	1.00000	0.53450
13	0.5	-	0.125863	342	0.5302	0.499	540x10 ⁻³	1542.857	0.194188	1.018914	0.195411	1.0189139	0.1954111	-0.397928	-0.07776	0.94115	0.49900
14	0.5	-	0.125863	342	0.5302	0.499	270x10 ⁻³	771.428	0.097094	1.004717	0.097247	1.0189139	0.1954111	-0.397928	-0.03870	0.96602	0.51218
15	0.5	-	0.125863	342	0.5302	0.499	0	0	0	1	0	1.0189139	0.1954111	-0.397928	0.00000	1.00000	0.53020
16	0.6	-	0.119735	385	0.5221	0.4874	540x10 ⁻³	1542.857	0.184734	1.017112	0.185787	1.0171119	0.1857867	-0.44984	-0.08357	0.93354	0.48740
17	0.6	-	0.119735	385	0.5221	0.4874	270x10 ⁻³	771.428	0.092367	1.004269	0.092498	1.0171119	0.1857867	-0.44984	-0.04161	0.96266	0.50260
18	0.6	-	0.119735	385	0.5221	0.4874	0	0	0	1	0	1.0171119	0.1857867	-0.44984	0.00000	1.00000	0.52210
19	0.7	-	0.115434	428	0.5122	0.4738	540x10 ⁻³	1542.857	0.178098	1.015901	0.179041	1.0159014	0.179041	-0.507549	-0.09087	0.92503	0.47380
20	0.7	-	0.115434	428	0.5122	0.4738	270x10 ⁻³	771.428	0.089049	1.003967	0.089167	1.0159014	0.179041	-0.507549	-0.04526	0.95871	0.49105
21	0.7	-	0.115434	428	0.5122	0.4738	0	0	0	1	0	1.0159014	0.179041	-0.507549	0.00000	1.00000	0.51220
22	0.8	-	0.112123	470	0.5028	0.4603	540x10 ⁻³	1542.857	0.172990	1.015	0.173854	1.0150002	0.1738544	-0.572472	-0.09953	0.91547	0.46030
23	0.8	-	0.112123	470	0.5028	0.4603	270x10 ⁻³	771.428	0.086495	1.003743	0.086603	1.0150002	0.1738544	-0.572472	-0.04958	0.95417	0.47975
24	0.8	-	0.112123	470	0.5028	0.4603	0	0	0	1	0	1.0150002	0.1738544	-0.572472	0.00000	1.00000	0.50280
25	0.9	-	0.109671	513	0.4905	0.4448	540x10 ⁻³	1542.857	0.169207	1.01435	0.170016	1.0143497	0.1700155	-0.632412	-0.10752	0.90683	0.44480
26	0.9	-	0.109671	513	0.4905	0.4448	270x10 ⁻³	771.428	0.084603	1.003581	0.084704	1.0143497	0.1700155	-0.632412	-0.05357	0.95001	0.46598
27	0.9	-	0.109671	513	0.4905	0.4448	0	0	0	1	0	1.0143497	0.1700155	-0.632412	0.00000	1.00000	0.49050
28	1	-	0.107719	556	0.4751	0.4255	540x10 ⁻³	1542.857	0.166195	1.013842	0.166961	1.0138423	0.1669614	-0.708196	-0.11824	0.89560	0.42550
29	1	-	0.107719	556	0.4751	0.4255	270x10 ⁻³	771.428	0.083098	1.003455	0.083193	1.0138423	0.1669614	-0.708196	-0.05892	0.94454	0.44875
30	1	-	0.107719	556	0.4751	0.4255	0	0	0	1	0	1.0138423	0.1669614	-0.708196	0.00000	1.00000	0.47510
31	1.1	-	0.106128	599	0.4558	0.4023	540x10 ⁻³	1542.857	0.163740	1.013435	0.164473	1.0134354	0.1644726	-0.795339	-0.13081	0.88262	0.40230
32	1.1	-	0.106128	599	0.4558	0.4023	270x10 ⁻³	771.428	0.08187	1.003353	0.081961	1.0134354	0.1644726	-0.795339	-0.06519	0.93817	0.42762
33	1.1	-	0.106128	599	0.4558	0.4023	0	0	0	1	0	1.0134354	0.1644726	-0.795339	0.00000	1.00000	0.45580
34	1.2	-	0.104805	642	0.4303	0.3733	540x10 ⁻³	1542.857	0.161699	1.013102	0.162405	1.0131018	0.1624048	-0.896325	-0.14557	0.86753	0.37330
35	1.2	-	0.104805	642	0.4303	0.3733	270x10 ⁻³	771.428	0.08085	1.00327	0.080938	1.0131018	0.1624048	-0.896325	-0.07255	0.93072	0.40049
36	1.2	-	0.104805	642	0.4303	0.3733	0	0	0	1	0	1.0131018	0.1624048	-0.896325	0.00000	1.00000	0.43030
37	1.3	-	0.103612	684	0.4052	0.3442	540x10 ⁻³	1542.857	0.159859	1.012805	0.160541	1.0128047	0.1605408	-1.017483	-0.16335	0.84946	0.34420
38	1.3	-	0.103612	684	0.4052	0.3442	270x10 ⁻³	771.428	0.079929	1.003196	0.080015	1.0128047	0.1605408	-1.017483	-0.08141	0.92178	0.37351
39	1.3	-	0.103612	684	0.4052	0.3442	0	0	0	1	0	1.0128047	0.1605408	-1.017483	0.00000	1.00000	0.40520
40	1.4	-	0.102662	727	0.3657	0.3017	540x10 ⁻³	1542.857	0.158392	1.01257	0.159055	1.0125703	0.1590552	-1.179321	-0.18758	0.82499	0.30170
41	1.4	-	0.102662	727	0.3657	0.3017	270x10 ⁻³	771.428	0.079196	1.003138	0.079279	1.0125703	0.1590552	-1.179321	-0.09350	0.90964	0.33266
42	1.4	-	0.102662	727	0.3657	0.3017	0	0	0	1	0	1.0125703	0.1590552	-1.179321	0.00000	1.00000	0.36570
43	1.5	-	0.101839	770	0.3038	0.2359	540x10 ⁻³	1542.857	0.157122	1.012369	0.15777	1.0123691	0.1577696	-1.495037	-0.23587	0.77650	0.23590
44	1.5	-	0.101839	770	0.3038	0.2359	270x10 ⁻³	771.428	0.078561	1.003088	0.078642	1.0123691	0.1577696	-1.495037	-0.11757	0.88551	0.26902
45	1.5	-	0.101839	770	0.3038	0.2359	0	0	0	1	0	1.0123691	0.1577696	-1.495037	0.00000	1.00000	0.30380

